

ქ.თბილისი

2017 წლის 25 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 25 მარტს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის წევრის, ირაკლი ჩიქავას მიერ, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის გამო, კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი ჩიქავა.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია და ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა სხდომის კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქავა.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშუალებით კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ი. ფურცელაძის ოქმი, მატჩის თანამსაჯების, გელა ლემონჯავას და ოთარ დალაქიშვილის მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 17 მარტს ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე თბ „ხულიგანა“-სა და თბ „არმია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

კლუბ თბ „არმია“-ს მორაგბემ ნუგზარ სომხიშვილმა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მსაჯს.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.2, სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 2.2 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ თბ „არმია“-ს მორაგბემ ნუგზარ სომხიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000 (ათასი) ლარით.
2. კლუბ „არმია“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1 - ის 2.2 პუნქტი და კლუბ „არმია“-ს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის სხდომის თავმჯდომარე

.....
